2020 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის საქმიანობის ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2020 წლის მეორე

კვარტალი

ბათუმი

2020 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

შესავალი

წარმოგიდგენთ 2020 წლის მეორე კვარტლის (აპრილი, მაისი, ივნისი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

2020 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

2020 წლის მეორე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

- მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება;
- თანამშრომელთა დისციპლინის ჩამოყალიბება;
- ღირებულებებზე დაფუძნებული ერთიანი გუნდის შექმნა;
- ტელევიზიის ინსტიტუციური განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- მარკეტინგის ჯგუფის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- მაუწყებლის ტექნიკური გადახარისხების ხელშეწყობა;
- შეფასების სისტემის ამოქმედება;
- გუნდის გაძლიერება;
- დონორებთან კომუნიკაცია;

კვარტლის მიღწევა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქცენტი გადატანილი იქნა მაუწყებლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე, დღეს არსებული მდგომარეობით და არსებული ფინანსებით მოხდა ტენდერის გამოცხადება მესამე სართულზე ოთახების გამიჯვნის თაობაზე, რაც დასრულებულია, მიმდინარეობს ინვენტარით მოწყობა და უახლოეს პერიოდში შემოქმედებითი სამსახურის შემადგენლობა გააგრძელებს საქმიანობას მესამე სართულზე. დღემდე გრძელდება კონსულტაციები შენობის თაობაზე, როგორც ინვესტორებთან ასევე ადგილობრივ მთავრობასთან.

რადიოს 90 წლის იუბილეს შიდა აღნიშვნა.

სტუდიების მოწყობასთან დაკავშირებული შეხვედრების გამართვა

ინტერნეტი-შედეგები:

2020 წლის მეორე კვარტალში მიღებული იქნა ახალი ამბების სამსახურის დებულება, რომლის თანახმადაც ვებ რედაქტორები დებულებით წარმოადგენენ ახალი ამბების სამსახურის თანამშრომლებს, მიმდინარეობდა ფუნქციათა გამიჯვნა.

ტელევიზია-შედეგები:

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურს მოუწია უწყვეტ რეჟიმში მნიშვნელოვანი მოვლენების გადაცემა, მიუხედავად ტექნიკური ხარვეზისა და არასაკმარისი რესურსისა.

რადიო-შედეგები:

„კოვიდ 19-ის“ გამო ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ვითარების ფარგლებში სახე იცვალა სამაუწყებლო ბადემ, ჩაიწერა რამდენიმე ახალი არტი. შესაბამისი სამსახურის მიერ დაიწყო წინასატენდერო მოკვლევები გარეწარმოებით შესაძენი პროდუქციის და არხის შეფუთვის შესაძენად.

კვარტლის გამოწვევა

საერთო ფონი კვლავ რთულია

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის „დისციპლინის“ არადამაკმაყოფილებელი დონე. საჭიროა ახალი სატელევიზიო სეზონის მომზადება.

„პროგრამა=პრიოტიტეტს“

- **შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:**

ტელევიზია-შედეგები და საჭიროებები;

ინტერნეტი-შედეგები და საჭიროებები;

სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდი 01 აპრილი 30 ივნისი

ტოპ-მონაცემები - ფბ მთვლელით.

ბოლო კვარტალში ყველაზე პოპულარული ვიდეო ჩვენს მაუწყებელზე - ეთნოფორის ვიდეორგოლი, რომელიც ტელევიზიის ოფიციალურ გვერდზე დავდეთ.

მას მოჰყვება ემოციებითა და გაზიარებების სიმრავლით ჰეშთეგის სიუჟეტი. ასევე რადიოვიზიის სიუჟეტი.

ტოპებში ძირითადად პოზიტიური ამბებია.



ტოპებშია მე ვარ ფერმერის თაფლის შესახებ მომზადებული ვიდეო, ასევე უცხო სურნელი და ერთი დღე სოფელში.

რაც შეეხება ვებ გვერდისა და ფბ გვერდის აქტივობებს, დინამიკაში იგი შემცირებულია (იხილეთ დიაგრამა ბოლო 2 კვარტლის)



შემცირების დინამიკაა - ე.წ. რიჩებში



იგივე სურათია გვერდის დამთვალიერებლებთან დაკავშირებით.



რაც შეეხება ვიდეოებს, ეს არის ბოლო ორი კვარტლის დიაგრამა.

და საერთო სურათზე ყველა პარამეტრში კლებაა.



ერთადერთი პარამეტრი, რომელშიც მატებაა ესაა ინტერაქცია (ემოციები, კომენტარები გაზიარებები ერთად) ფბ გვერდზე და მაუწყებლის პოზიციონირება ქვეყნის მასშტაბით მე-13 ადგილზეა. მისი პოზიციონირება გაუმჯობესდა 3 პუნქტით.

ინტერაქცია ციფრებში მეორე კვარტალი - 336,346

იყო წინა კვარტალში -მე-16 ადგილი - ინტერაქცია ციფრებში პირველი კვარტალი 327,064



საყოველთაო პანდემიის ფონზე და საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოიშვა რიგი პრობლემები - მეორე კვარტალში ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა არის მცირედით შემცირებული, მიზეზი კორონას პერიოდში დაბალი აქტივობა იყო, გარდა მაგისა დებულების ცვლილება მოხდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უფლებამოსილების გადანაწილება მიმდინარეობდა, რის საფუძველზეც ვერ ხერხდებოდა ფუნქციების გამიჯვნა, რამაც ხელი შეუშალა ონლაინ სამსახურის საქმიანობის განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურის გუნდმა შეძლო ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინა მუშაობა. როგორც გასული კვარტლის ანგარიშში იყო აღნიშნული, დასრულდა მუშაობა ახალი ამბების სამსახურის დებულებაზე, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, ახალი ამბების სამსახურის შემადგენელი ნაწილი გახდა, ვების მიმართულება. თანამშრომლები, რომლებიც მანამდე იგივე მოვალეობებს ონლაინ სამსახურის შემადგენლობაში ყოფნისას ასრულებდნენ, საკუთარი განცხადების საფუძველზე გააგრძელეს მუშაობა, უკვე ახალი ამბების სამსახურში. ვების მიმართულებით რედაქტორად დაინიშნა, ჟურნალისტი ნინო ხაჟომია. დაემატა ახალი თანამშრომელი მამია ჩხარტიშვილი, რომელიც მანამდე 1 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სტაჟიორი იყო, სპორტულ რედაქციაში. მომზადდა საგამოძიებო შინაარსის მქონე რამდენიმე ფილმი, ზოგიც კვლავ მზადების პროცესშია. შეიცვალა 18:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვების სტილი, დღის მოვლენებს მაყურებელს 1 წამყვანი აცნობს. მთავარი გამოშვების ფუნქცია კი ყველა დეტალით მთლიანად შეითავსა 20:00 საათიანმა ახალმა ამბებმა. „მთავარის“ 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვების რედაქტორად დაინიშნა ჟურნალისტი აკაკი გოგიჩაიშვილი. რამდენიმე თანამშრომელს გაეზარდა ხელფასი. მიმდინარეობს საინფორმაციო გამოშვებების გადაწყობა, ახალ დინამიკაზე.

გამოწვევა: ტექნიკური გადაიარაღება მთავარი გამოწვევაა, როგორც ცენტრალურ ოფისში ისე ბიუროებში. სასურველია თბილისის ბიუროში ახალი კადრების დამატება, წინასაარჩევნო გარემოში სრულყოფილად მუშაობისთვის. ხშირად გვიწევს მასალების გაცვლა, საზოგადოებრივ მაუწყებელთან, „ტვ პირველთან" ტელეკომპანია „ფორმულასთან" „პოს ტვ-სთან" „რუსთავი 2" თან. გრძელდება თანამშრომლობა „ამერიკის ხმასთან" ასევე, სასურველია ბიუროს დამატება ზუგდიდში და გაძლიერება ქუთაისში (ოპერატორის აყვანა).

წინა წლების ამოცანა იყო, რომ მაუწყებლის ვებგვერდი განახლებად საინფორმაციო წყაროდ დაფიქსირებულიყო, სადაც უახლესი ამბები თავსდება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2020 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;
- ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაქტისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;
- კონკურსით მექანიკური პროდუქციის (BBC დოკუმენტური ფილმი) შეძენა-გაშვება:

მიმდინარე წლის 18 მარტს სერიალის შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულთან, კომპანია „ბრავო რექორდს"-თან გაფორმდა ხელშეკრულება (#126) 79 სერიის და ხელშეკრულება (#127) 70 საათი BBC დოკუმენტური ფილმების ჩვენების ლიცენზიის შეძენის თაობაზე;

- 9 მაისისთვის შევიძინეთ ომის თემატიკის ორი ქართული ფილმი;
- ბრენდირებული ნივთების შეძენა: გაფორმდა ხელშეკრულებები - ბეიჯების, მაისურების და სტიკერების შესაძენად; პანდემიის დასაწყისში დამზადდა მიკროფონის სტიკერები (ღრუბლის ნაცვლად), შემდეგ კი ლოგო ბოქსები;
- ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება;
- 5 (ხუთი) კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 14501,40 ლარი.
- სტუდია „მაკრო"-სთან (სერიალი „ერთხელ ბათუმში") - გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოწოდებულია 12 სერია, ეთერში ჩაშვებულია სერიალის ორი პრომო, ასევე განთავსებულია ვებზე;

მეორე კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილება:

1. 23 მარტიდან საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით შეჩერდა საავტორო პროექტები და თოქ-შოუები გარდა საინფორმაციო ფორმატისა. ბადე შეივსო გადაცემების განმეორებებით;
2. 24 მარტიდან ბადეს დაემატა საინფორმაციო დაიჯესტები (11:00,13:00,16:00);
3. სამედიცინო გადაცემა „იმპულსი“ საგანგებო რეჟიმთან დაკავშირებით 23 მარტიდან ეთერში გადიოდა ყოველ სამუშაო დღეს 10:10-ზე, ხოლო 31 მარტიდან კვირაში სამჯერ (ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი);
4. აპრილი-მაისის თვეებში (საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით) გადაცემები გადიოდა განმეორებითი ჩვენებით;
5. 25 მაისიდან ეთერში განახლდა თოქ-შოუები და ეტაპობრივად საავტორო გადაცემები;
6. ბადეში განთავსდა სოციალური რგოლები COVID-19 დაკავშირებით;
7. ბადეში საგრანტო პროექტი „ათვლის კუთხე“ (ორშაბათი 17:00) დასრულდა 29 ივნისს;

- საავტორო პროექტების „ეთნოფორი“-ს და „უცხო სუნელი“-ს შემოქმედებით ჯგუფებმა დისტანციურად დაამზადეს რგოლები „დარჩი სახლში“-ს შინაარსის, რომლებიც განთავსდა ბადეში, როგორც პროგრამათაშორისი;
- ლელა წურწუმიას კონცერტის და სხვადასხვა მუსიკალური კლიპების უფლების მოპოვება და განთავსება;
- ახალი გადაცემების განთავსება ბადეში (ივნისიდან):
  - საგამოძიებო სპეციალური რეპორტაჟი
  - მთავარი ეკონომიკაში
  - Zoom განათლებაზე

- რადიოს იუბილესთან დაკავშირებით არტის მომზადება; გადაცემა „ბიბლიოთეკა“-ს პრომო.

- აბიტურიენტებისათვის გაკვეთილების ციკლის მიღება-დამუშავება და ბადეში განთავსება (ორშაბათი-პარასკევი 14:05)

- მზადება ახალი სეზონისთვის: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სატელევიზიო პროგრამების შეფასებისა და სატელევიზიო სამაუწყებლო ბადის დაგეგმვის კომისიის დებულების შესაბამისად სატელევიზიო პროგრამების შეფასების წესისა და კრიტერიუმების მიხედვით 2020 წლის 15-18 მაისს სატელევიზიო აუდიტორიის მზომი პარტნიორი კომპანიისა და მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შინაარსის, რეჟისურის, აუდიტორიისა და ბიუჯეტის მიხედვით შეფასდა სატელევიზიო პროგრამები. თითოეულ პროგრამას მიენიჭა შეფასების ინდექსი. კომისიამ თითოეულ გადაცემაზე გასცა რეკომენდაციები. ასევე შეიმუშავა სამაუწყებლო სეზონისა და სამაუწყებლო ბადის განსაზღვრის წესი;

- ქართული ფილმების შესაძენად (60 ფილმი) გამოცხადდა კონკურსი.

მიმდინარე მაუწყებლობის მეორე კვარტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

პროგრამული ბადის მიხედვით მოხდა პირდაპირ ეთერში საინფორმაციო, სპორტული ღონისძიებები, კონცერტები და შემოქმედებითი გადაცემების ტრანსლირება. მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის ხელშეწყობით განხორციელდა საკონსტიტუციო საჯარო განხილვა. სპეციალურად ამ გადაცემისთვის მოეწყო სცენა, დამონტაჟდა მონიტორი, გადაეწყო განათება. ტრანსლირება მიმდინარეობდა 2 საათის განმავლობაში უწყვეტად ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის თეატრის დრამის სცენიდან. შეიცვალა სტუდიებიდან სიგნალის მიწოდება. ცენტრალურ სააპარატოს სიგნალი მიეწოდება ოპტიკური კაბელით, რამაც გააუმჯობესა ვიდეოს მიწოდების ხარისხი.

<u>რადიო-შედეგები და საჭიროებები;</u>

2020 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, მიმდინარე სააანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები.

„კოვიდ 19-ის“ გამო ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ვითარების ფარგლებში სახე იცვალა სამაუწყებლო ბადემ. შეზღუდვები დაწესდა თანამშრომელთა რაოდენობასა და გადაადგილებაზე. რიგი გადაცემებისა, როგორიც არის, რადიოვიზია, კონტაქტი, სპორტი, საღამო მშვიდობისა, შუადღის ზოლი, ღია ეთერი, დროებით შეჩერდა. მაუწყებლობის საგანგებო ფორმატზე გადავიდა საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების ჯგუფი. საგანგებო რეჟიმის განმავლობაში, საინფორმაციო გამოშვებებთან ერთად, გადაცემა კომპეტენტური პასუხი ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა ეთერში და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. ამავდროულად ეთერში გადიოდა დისტანციურად მომზადებული საავტორო გადაცემა „რადიო ბაქანი“ და გარეწარმოებით შეძენილი რუბრიკები.

ჩაიწერა და ეთერში ტრიალებდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე შექმნილი საინფორმაციო არტები. ვირუსული სიტუაციის შემსუბუქებასთან ერთად, ეთერში ეტაპობრივად დაბრუნდა რადიოს ყველა გადაცემა. სისტემატიურად ახლდებოდა რადიოს მუსიკალური ბადეც. ჩაიწერა რამდენიმე ახალი არტი.

დაიწყო წინასატენდერო მოკვლევები გარეწარმოებით შესაძენი პროდუქციის და არხის შეფუთვის შესაძენად. პარალელურ რეჟიმში მიდის ახალი სეზონისთვის გადაცემების იდეების გენერირების პროცესი.

იურიდიული მხარდაჭერა

2020 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - 1464;

გარედან შემოსული - 262.

კანცელარიიდან გაიგზავნა 251 წერილი.

მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 17 ბრძანება;

პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (მივლინება) – 158 ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) – 89 ბრძანება.

რეგისტრაციაში გატარდა - 308 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მაუწყებლის სარჩელი მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძეს დაეკისრა 2 600 (ორიათას ექვსასი) ლარის გადახდა მაუწყებლის სასარგებლოდ. მაუწყებლის მიერ მოცემული სამოქალაქო საქმეზე შეტანილია სააპელაციო საჩივარი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში. მაუწყებლის მეოთხე კვარტლის ანგარიშში მოხდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ბურჯი ინვესტს“ დაეკისრა მაუწყებლის მიმართ თანხის გადახდა. მოცემული გადაწყვეტილება სააღსრულებლო ფურცელთან ერთად აღსასრულებლად წარედგინა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მაგრამ დადგენილი იქნა ხარვეზი, რის გამოც განცხადებით (გადაწყვეტილების განმარტების) თაობაზე მივმართეთ ბათუმის საქალაქო სასამართლოს, განჩინებით კი მაუწყებლის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სრული მასალები დღეის მდგომარეობით გადაგზავნილია სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში ელექტრონულად.

ბოლოს დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში შემდეგი სამოქალაქო საქმეები, რომლებზეც მომზადდა შესაგებლები:

ა) მოსარჩელე: მაია მერკვილაძე

დავის საგანი: მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის მაია მერკვილაძის რადიოს საინფორმაციო გამოშვებების რედაქტორის პოზიციაზე გადაყვანის თაობაზე #02-05/16 ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა.

ბ) მოსარჩელე: შორენა ღლონტი

დავის საგანი: შორენა ღლონტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ 2020 წლის 28 თებერვლის #02-05/20 ბრძანების ბათილად ცნობა მუწყებლის თანამდებობის პირის თანამშრომლის საქმიანობაში ჩარევის აღსაკვეთად, ახალი ამბების სამსახურის უფროსის ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებლად მიქცევა.

გ) მოსარჩელე: სოფიო ჟღენტი

დავის საგანი: მაუწყებლის დირექტორისათვის დისციპლინური წარმოების, რეორგანიზაციის და ხელშეკრულების პირობების ცვლილების/ბოროტად გამოყენების გზით მოსარჩელის/თანამშრომლის საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზემოქმედების აკრძალვა; მაუწყებლის დირექტორის #02-03/09 ბრძანების (მაუწყებლის ონლაინ მედიის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე) ბათილად ცნობა.

დ) მოსარჩელეები: თეონა ხარაბაძე, მაია მერკვილაძე, ცირა სურმანიძე

დავის საგანი: მაუწყებლის დირექტორისათვის დისციპლინური წარმოების, რეორგანიზაციის და ხელშეკრულების პირობების ცვლილების/ბოროტად გამოყენების გზით მოსარჩელის/თანამშრომლის საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზემოქმედების აკრძალვა; ცირა სურმანიძის მიმართ საყვედურის გამოცხადების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის #02-09/29 ბრძანების ბათილად ცნობა; მაია მერკვილაძის მიმართ საყვედურის გამოცხადების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის #02-09/30 ბრძანების ბათილად ცნობა;

ე) მოსარჩელე: მალხაზ რეხვიაშვილი

დავის საგანი: მალხაზ რეხვიაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 11 მაისის #02-05/59 ბრძანების ბათილად ცნობა; თანამდებობაზე აღდგენა; იძულებითი განაცდური ანაზღაურება.

ვ) მოსარჩელე: თეონა ბაკურიძე

დავის საგანი: თეონა ბაკურიძის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

ზ)მოსარჩელეები: ა(ა)იპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირი, ვანცენტ ხაბეიშვილი, ირაკლი ყურუა

დავის საგანი: შრომითი ხელშეკრულების ნაწილის ბათილად ცნობა მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 08 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელში ქცევის წესების ზოგიერთი პუნქტის ბათილად ცნობა.

აღნიშნულ საქმეზე მოთხოვნილი იყო სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც არ დაკმაყოფილდა. განჩინება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და საჩივრის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე ჩანიშნულია 2020 წლის 27 აგვისტოს. მაუწყებელს 2020 წლის 07 ივლისს ჩაბარდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან გზავნილი საჩივარზე მოსაზრების წარდგენის თაობაზე.

თ) მოსარჩელე: შორენა ღონტი

დავის საგანი: შორენა ღლონტთან შრომითი ურთიერთობის ვადის ცვლილების შესახებ მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის ბრძანების ბათილად ცნობა.

ი) მომზადდა მაია მერკვილაძის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგნილ კერძო საჩივარზე მაუწყებლის „მოსაზრება". კერძო საჩივრით გასაჩივრებული იყო მაია მერკვილაძის მიერ მაუწყებლის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ უარის თქმის შესახებ განჩინება. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით მოსარჩელე ითხოვდა მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას ნაწილობრივ. კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მაუწყებელს 2020 წლის 23 აპრილს ჩაბარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 01 აგვისტოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" დაეკისრა 1123,6 ლარის (963,6+200) გადახდა სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის" სასარგებლოდ. 2020 წლის 07 ივლისს მაუწყებელს ჩაბარდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის განჩინება, რომლის მიხედვითაც მაუწყებლის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო - დავის საგანი არ აღემატება 1000 ლარს. სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მესამე პირების მიერ წარმოდგენილი ვიდეორგოლისათვის სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების განხილვაში, როგორც სოციალური რეკლამის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის წევრმა.

სამსახურის მიერ განხორციელდა ასევე შემდეგი საქმიანობა აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის უფლების შესყიდვის კონკურსის ორგანიზება, ბრძანებების მომზადება, ხელშეკრულებების გაფორმება:

ა) მომწოდებელი შპს „ბრავო რექორდს" – 2020 წლის 30 აპრილის #126 ხელშეკრულება

ბ)მომწოდებელი შპს „ბრავო რექორდს" – 2020 წლის 30 აპრილის #127 ხელშეკრულება

გ) გამოცხადდა ქართული ფილმების საჯარო გადაცემის უფლების შესყიდვის მიზნით კონკურსი.

სარეკლამო ხელშეკრულებების გაფორმება - რვა ხელშეკრულება.

შპს „მაგთიკომთან“ გაფორმებული 2017 წლის 20 ივნისის იჯარის ხელშეკრულება დასრულდა 2020 წლის 19 ივნისს, ხოლო 2018 წლის 07 აგვისტოს იჯარის ხელშეკრულება სრულდება 2020 წლის 16 ივლისს. მოიჯარე 2020 წლის ივნისში მომართა მაუწყებელს იჯარის ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების თაობაზე, მაუწყებელმა შესაბამისი პროცედურების დაცვით გამოაცხადა აუქციონი ქონების იჯარით გაცემის მიზნით.
პანდემიასთან დაკავშირებით ცვლილებები შევიდა შემდეგ ხელშეკრულებებში:
ა) შპს „დაოსთან“ გაფორმებული 2020 წლის 24 თებერვლის #24 იჯარის ხელშეკრულებაში - მოიჯარე გათვისუფლდა 3 (სამი) თვის საიჯარო ქირის გადახდისგან.
ბ) ა(ა)იპ „მაკროსთან“ 2020 წლის 04 მარტის ხელშეკრულებაში (ქართულ სერიალზე საჯარო გადაცემის უფლების ლიცენზია) - გაიზარდა ვალდებულების შესრულების ვადა.
გ) შპს „ბრავო რექორდსთან“ გაფორმებულ 2020 წლის 30 აპრილის #126 ხელშეკრულებაში - შეიცვალა საჯარო გადაცემის უფლების გადმოცემის აუდიოვიზუალური ნაწარმოებები.
დ) შპს „სატრასტო კომპანია ედემთან“ შეწყდა 2020 წლის 11 მარტს გაფორმებული N390 ხელშეკრულება - ვერ შეძლო შეთანხმებულ აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე საჯარო გადაცემის ლიცენზიის მოწოდება.

მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მაუწყებლის მიმართ წარმოშობილი დავალიანების თაობაზე დოკუმენტების დამუშავება ვალდებული პირებისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მიზნით (მათ შორის, მზადდება შპს „ტვ25“-თან გასაგზავნი წერილი)

მოსაზრებების/სამართლებრივი შეფასებების წარდგენა შემდეგ საკითხებზე:

ა) მოსაზრება/სამართლებრივი შეფასება სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს სატელევიზიო პროგრამების შეფასებისა და სატელევიზიო სამაუწყებლო ბადის დაგეგმვის კომისიის დებულების პროექტის თაობაზე.
ბ) "პლათფორმა სოციალური სამართლიანობისთვის" და მაუწყებელს შორის გაფორმებული მემორანდუმის და მემორანდუმთან მიმართებით შრომითი ხელშეკრულებების (2 ხელშეკრულება) სამართლებრივი შეფასება.
გ) საკადრო ბაზის სამსახურის უფროსის რეკომენდაციაზე 2016 წლის 22 დეკემბერის #02-03/32 ბრძანების (უხუცესთა საბჭოს შექმნის თაობაზე) არარა აქტად ცნობის თაობაზე მოსაზრების/სამართლებრივი შეფასების წარდგენა .
სამსახურის მიერ საგამოძიებო დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნა საქმის მასალები #028080120002 სისხლის სამართლის საქმეზე (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ საკუთრებაში არსებულ ავტომობილში ცეცხლის გაჩენის თაობაზე) შეტყობინების ოქმი, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, ექსპერტების დასკვნები, ჯემალ გვეტაძის ჩვენება, დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

<u>კვარტლის ტენდერები</u>

2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეორე კვარტალში გამოცხადდა 9(ცხრა) ტენდერი, მათ შორის: არ შედგა 1 (ერთი) ტენდერი, უარყოფითი შედეგით დასრულდა - 1 (ერთი), შერჩევა შეფასების ეტაპზეა 2 (ორი), მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება 3(სამი) ტენდერზე, ხოლო 2(ორი) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

2020 წლის მეორე კვარტალში გაფორმდა 35(ოცდათხუთმეტი) ხელშეკრულება, მათ შორის:

1. 7 (შვიდი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 23(ოცდასამი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 5 (ხუთი) ხელშეკრულება.

შესრულდა და შესაბამისი სტატუსი მიენიჭა შესყიდვების სააგენტოს საიტზე 20 (ოცი) ხელშეკრულებას.

შპს „ბიოლენდი"-თან მაუწყებელმა ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმართა შესყიდვების სააგენტოს მის შავ სიაში შეტანის თაობაზე.

<u>ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა</u>

2020 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში, საკადრო ბაზის განვითარების რეკომენდაციით მოხდა ახალი ამბების სამსახურის დებულების მიღება, ცვლილება შევიდა ონლაინ მედიის სამსახურის დებულებაში, მიღებულ იქნა სოციალურ ქსელში ქცევის წესების . განხორციელდა ღია კონკურსის ჩატარება ახალი ამბების სამსახურის უფროსიის პოზიციაზე(ბრძანება 02-09/58).
გამოყენებული იქნა დისციპლინარული სანქცია ახალი ამბების სამსახურის გამოშვების წამყვან/რეპორტიორის თეონა თურმანიძის მიმართ. (ბრძანება N 02-09/62) .
განხორციელდა ახალი ამბების სამსახურის რედაქტორის ცირა სურმანიძის მიმართ დისციპლინარული სანქციის გაუქმება (ბრძანებაN02-09/72).

განხორციელდა შემდეგი ცვლილებები ადამიანური რესურსების მიმართულებით :

2020 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

1. 2020 წლის 01 აპრილს დამლაგებლის პოზიციაზე ავიყვანეთ ხათუნა კუტუბიძე;

2. 2020 წლის 01 აპრილს ახალი ამბების სამსახურში რეპორტიორის პოზიციაზე დანიშნული იქნა თემურ სალუქვაძე - აღნიშნული შრომის ხელშეკრულება ვადიანია და ის ძალაშია 2020 წლის 01 ოქტომბრამდე;

3. 2020 წლის 01 აპრილიდან დაინიშნა ახალი ამბების სამსახურში რეპორტიორის პოზიციაზე ლოლა ტუმასიანი - აღნიშნული შრომის ხელშეკრულება ვადიანია და ის ძალაშია 2020 წლის 01 ოქტომბრამდე;

4. 2020 წლის 01 აპრილიდან დაინიშნა ახალი ამბების სამსახურის თბილისის ბიუროს ოპერატორის პოზიციაზე ზვიად სისაური - აღნიშნული შრომის ხელშეკრულება ვადიანია და ის ძალაშია 2021 წლის 01 აპრილამდე;

5. 2020 წლის 01 აპრილიდან დაინიშნა ახალი ამბების სამსახურის თბილისის ბიუროს ოპერატორის პოზიციაზე სოსო სარალიძე - აღნიშნული შრომის ხელშეკრულება ვადიანია და ის ძალაშია 2021 წლის 01 აპრილამდე;

6. 2020 წლის 14 აპრილიდან ონლაინ მედიის სამსახურის ვებ რედაქტორის პოზიციაზე მომუშავე ლანა ძაძამია გადაყვანილი იქნა ახალი ამბების სამსახურში ვებ რედაქტორის პოზიციაზე;

7. 2020 წლის 01 აპრილიდან ოლღა ჟღენტი დაინიშნა საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში დოკუმენტური ფილმის ავტორისა და რეჟისორის პოზიციაზე (ხელშეკრულება ძალაშია 2021 წლის 01 აპრილამდე);

8. 2020 წლის 01 აპრილიდან საავტორო შემოქმედებითი სამსახურშის სპორტული გადაცემის რეპორტიორის პოზიციაზე დაინიშნა ზურაბ დიასამიძე (2020 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით);

9. 2020 წლის 01 აპრილიდან საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში ოპერატორის პოზიციაზე ექვსი თვით დაინიშნა დავით გურიელიძე;

10. 2020 წლის 03 აპრილიდან ახალი ამბების სამსახურში ვებ გვერდის რედაქტორის პოზიციზე დაინიშნა თეონა აბესაძე;

11. 2020 წლის 10 აპრილიდან ახალი ამბების სამსახურში ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის უფროსი რედაქტორის პოზიციაზე დაინიშნა ნინო ხაჟომია - აღნიშნული შრომის ხელშეკრულება ვადიანია და ძალაშია 2020 წლის 31 ოქტომრის ჩათვლით;

12. 2020 წლის 14 აპრილიდან ონლაინ მედიის სამსახურის ვებ რედაქტორის პოზიციაზე მომუშავე ლანა ძაძამია გადაყვანილი იქნა ახალი ამბების სამსახურში ვებ რედაქტორის პოზიციაზე;

14. 2020 წლის 14 აპრილიდან ონლაინ მედიის სამსახურის ვებ რედაქტორის პოზიციაზე მომუშავე ანა ახალაძე გადაყვანილი იქნა ახალი ამბების სამსახურში ვებ რედაქტორის პოზიციაზე;

15. 2020 წლის 14 აპრილიდან მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის ვებ გვერდის სპეციალისტი ბაკურ ფარტენაძე გადაყვანილი იქნა ახალი ამბების სამსახურში ვებ გვერდის სპეციალისტის პოზიციაზე;

16. 2020 წლის 16 აპრილიდან ვახტანგ ხუზმიაშვილი დაინიშნა ახალი ამბების სამსახურში, ანალიტიკურ ჯგუფში თოქ-შოუ ,,თავისუფალი სივრცის" ავტორი და წამყვანი (ხელშეკრულება ძალაშია 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით;

17. 2020 წლის 16 აპრილის ბრძანების 02/05/48 სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში ვახტან ხუზმიაშვილი გადაყვანილი იქნა ახალი ამბების სამსახურის უფროსად;

18. 2020 წლის 16 აპრილს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი აბაზაძე გათავისუფლდა და იგი დანიშნული იქნა ახალი ამბების სამსახურში წამყვან-რეპორტიორის თანამდებობაზე;

19. 2020 წლის 23 აპრილიდან ახალი ამბების სამსახურში ვებ გვერდის რედაქტორის პოზიციაზე დაინიშნა დავით წურწუმია;

20. 2020 წლის 01 მაისს რამაზ დიასამიძე დაინიშნა შიდა აუდიტის სამსახურში აუდიტორის პოზიციაზე (ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2020 წლის 01 აგვისტომდე);

21. 2020 წლის 01 მაისიდან გაუქმდა ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობა და სამსახურის უფროსი ეკატერინე შაინიძე გადაყვანილი იქნა შიდა აუდიტის სამსახურში აუდიტორის პოზიციაზე;

22. 2020 წლის 04 მაისის დაინიშნა 2020 წლის 08 მაისიდან საზოგადოებრი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის თანაშემწის პოზიციაზე მაგდა ქობულაძე;

23. 2020 წლის 04 მაისიდან ახალი ამბების სამსახურის ვებ გვერდის რედაქტორის პოზიციაზე დაინიშნა ლელა ბექაია (ვადა აქვს 2020 წლის 04 ოქტომბრამდე);

24. 2020 წლის 08 მაისს უფლებამოსილება შეუწყდა ნათელა გოგიჩაშვილს საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე;

25. 2020 წლის 08 მაისს ემზარ პაქსაძე დაინიშნა საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე;

26. 2020 წლის 08 მაისიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის თანაშემწის პოზიციაზე გადმოყვანილი იქნა ნათელა გოგიჩაიშვილი;.

27. 2020 წლის 12 მაისის ბრძანებით დაეკისრა დისციპლინარული პასუხისმგებლობა სამსახურიდან დათხოვნა (სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ,,საავტორო შემოქმედითი გადაცემების სამსახურის" საღამოს გადაცემების წამყვანსა და რეპორტიორს მალხაზ რეხვიაშვილს;

28. 2020 წლის 01 ივნისიდან გათავისუფლდა საკუთარი განცხადებით მიმდინარე მაუწყებლობიდან სამსახურის სტუდიის რეჟორი შოთა მაკარაძე;

29. 2020 წლის 02 ივნისიდან შორენა ღლონტი გათავისუფლებული იქნა ვებ გვერდისა და სოციალური მედიის მიმართულებით კონსულტანტის პოზიციიდან;

30. 2020 წლის 10 ივნისიდან თამარ მაისურაძე გათავისუფლებული იქნა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რაიდოს დირექტორის კონსულტანტის პოზიციიდან;

31. 2020 წლის 15 ივნისიდან 2021 წლის 01 იანვრამდე საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში ,,გადაცემა ჰეშთეგის" რეპორტიორი მარინა ბოლქვაძე გადაყვანილი იქნა გადაცემა ,,ზუმი განათლებაზე" ავტორი, წამყვანი და რეპორტიორი;

32. 2020 წლის 15 ივნისიდან დაინიშნა საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში გადაცემა ,,მთავარი ეკონომიკაში" ავტორი, წამყვანი, რეპორტიორი და პროდიუსერის პოზიციაზე ფირუზ ბოლქვაძე (2020 წლის 01 აგვისტომდე);

33. 2020 წლის 15 ივნისიდან დაინიშნა საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში გადაცემა ,,მთავარი ეკონომიკაში" რეპორტიორად თემურ სალუქვაძე;

34. 2020 წლის 15 ივნისიდან 2021 წლის 01 იანვრამდე დაინიშნა ონლაინ მედიის სამსახურში სოციალური მედიის მენეჯერის პოზიციაზე რევაზ შეროზია;

შემოქმედებითი მიმართულებით მეორე კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები აწარმოეს საყოველთაო პანდემიის გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით შემოქმედებითი სამსახური მუშაობს სრული დატვირთვით.

მეორე კვარტალში დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებო პროექტი „ზუმი განათლებაზე“ რომლის ავტორი და წამყვანი არის მარინა ბოლქვაძე, რეპორტიორი ნათია ლომაძე, მემონტაჟე კი გურამ ქადიძე. დამზადდა ქუდი და შეიფუთა გადაცემა.

ასევე დაიგეგმა და განხორციელდა გადაცემა ეკონომიკის შესახებ „მთავარი ეკონომიკაში“, შემოქმედებითმა ჯგუფმა ასევე შეფუთა „სპეციალური რეპორტაჟი“.

„შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა~

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის ბაკალავრიატის მე-4 კურსის და მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტების 2020 წლის 17 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით გადიან სასწავლო პრაქტიკას.

საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

ახალი ამბების სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას "ამერიკის ხმასთან". მთავარის ეთერში გადაიცემა სხვადასხვა თემაზე მომზადებულ მასალები.

მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკურ სამსახურში განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალი:

1. შემოქმედების და ახალი ამბების სამსახურის განათებას, პეტლიჩკებს, შტატივებს და კამერებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები.
2. გამოცხადდა ტენდერი ვიდეო კამერების შესყიდვაზე.
3. გამოცხადდა ტენდერი ვიდეო და აუდიო სიგნალის გარდამქნელებზე
4. გამოცხადდა ტენდერი 3 ერთეული ლაივუს შესყიდვაზე.
5. 3 სართულზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები (გადაიტიხრა ოთახები და გაიმართა ელ. ქსელი).
6. მომზადებულია ტენდერი მოძრავი სატელევიზიო სადგურის შესაძენად.
7. მომზადდა საკონკურსო პირობა არსებული სტუდიების განახლებისთვის.

IT სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოები:

სამონტაჟო კომპიუტერების კონფიგურირება, ფასების მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება;

კატრიჯები (კვლევა, დასატუმბი, შესაკეთებელი და ახალი კატრიჯების რაოდენობის განსაზღვრა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება);

სტორიჯის მოცულობის გაზრდის მიზნით, ბაზრის კვლევა, თავსებადი თაროს კონფიგურირება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის(AP) მოწყობილობების გამართვა.

ფაერვოლისა და როუტერის (Sophos SG230) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი.

სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ტიტროვშიკი), პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

საეთერო სამაუწყებლო კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქსელური ენკოდერების კონფიგურირება

რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი.

დეტალები (დაზიანებული და ფიზიკურად მოძველებული დეტალების გამოვლენა, ფასთა მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.)

კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი.

2020 წლის მეორე კვარტალში გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). FM გადამცემ სადგურს ჩაუტარდა პროფილაქტიკური საუშაოები. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები აჭარის რადიოს FM გადამცემ ანტენებზე. პროფილაქტიკა ჩაუტარდა დიზელ - გენერატორს. გადამცემი მუშაობს 104,5 მეგაჰერცის სიხშირეზე.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი და გარემონტდა რესივერი. გადამცემი მუშაობს 106,1 მეგაჰერცის სიხშირეზე.

შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები), რემონტი

ჩაუტარდა დენის სტაბილიზატორს, პროფილაქტიკა ჩაუტარდა მიმღებ რესივერს. გადამცემი მუშაობს 106,0 სიხშირით.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს და გადამცემ ანტენებს. გამოიცვალა დაზიანებული ელექტრო სადენები. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით. ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, შეიცვალა სატელიტური თავაკი. გადამცემი მუშაობს 104,1 სიხშირით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემი სადგური დაზიანებულია და იმყოფება რემონტზე, უახლოეს დღეებში მოხდება ლეღვას სადგურის აღდგენა. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური მიმღები. გადამცემი მუშაობს 96,1 სიხშირით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით. ტელევიზიის ადმინისტრაციული შენობის დიზელ-გენერატორის საწვავის ავზში ჩაისხა 50(ორმოცდაათი) ლიტრი დიზელის საწვავი. მზადდება დოკუმენტაციები სატენდეროდ.

<u>მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი</u>

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში. მოქალაქეები გვთხოვენ ჯანდაცვის, კომუნალური, სოციალური, სამართლებრივი პრობლემების გაშუქებას, სხვადასხვა უწყებასთან შუამდგომლობას. სოციალურ ქსელში განთავსებულ მასალებზე გამოხმაურებით დგინდება უკუკავშირი.

<u>სამომავლო რისკები და გამოწვევები</u>

<u>დღეს მაუწყებელში არ არსებობს მედიისათვის შესაბამისი გარემო, რადგან მნიშვნელოვანია მაუწყებელს ჰქონდეს მისი შენობა და ასევე მნიშველოვანია მაუწყებლის სტრუქტურის გამართვა.</u>

2020 წლის მეორე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

<u>გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის</u>

მომდევნო თვეების (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანებია:

- მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება;
- თანამშრომელთა დისციპლინის ჩამოყალიბება;
- ვებგვერდის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- თოქ შოუს გამართვა;
- ახალი სეზონისთვის მზადება;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- გაყიდვების მართვა;
- სტუდიების განახლება;

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2020 წლის მეორე კვარტალის

ფინანსური ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2020 წლის მეორე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 2.463.500,00 ლარს (6 თვის მდგომარეობით 5.022.100,00 ლარი), ფაქტიურად დაიხარჯა 2.337.981,66 ლარი (6 თვის მდგომარეობით 4.423.548,18 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 6 თვის მდგომარეობით შეადგენს 88,08%-ს.

მათ შორის:

- **სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან 2020 წლის მეორე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 2.442.950,00 ლარს (6 თვის მდგომარეობით 4.954.750,00 ლარი), ფაქტიურად დაიხარჯა 2.326.955,45 ლარი (6 თვის მდგომარეობით 4.397.873,30 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 6 თვის მდგომარეობით შეადგენს 88,76%-ს.**

- **ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2020 წლის მეორე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 20.550,00 ლარს (6 თვის მდგომარეობით 67.350,00 ლარი), გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 11.026,21 ლარს (6 თვის მდგომარეობით 25.674,88 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 38,12%-ს.**

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2020 წლის მეორე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N1).

2020 წლის მეორე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების თანხა შეადგენს 37.339,56 ლარი.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N2).